შორენა სიხარულიძე, ნინო წულუკიძე

გდანსკის უნივერსიტეტი, პოლონეთი

2023 წლის 19-23 ივნისს ვესტუმრეთ გდანსკის უნივერსიტეტს, პოლონეთში (University of Gdansk, Poland). ვიზიტის ფარგლებში შევხვდით სამართლის ფაკულტეტის დეკანს, ასოცირებულ პროფესორს ვოიცეხ ზალევსკის. შეხვედრები და ტრენინგები შედგა საერთაშორისო თანამშრომლობის სფეროში, ვეწვიეთ ოლივას კამპუსს და ფაკულტეტის სტუდენტურ იურიდიულ კლინიკას. გარდა სასწავლო და აკადემიური თემებისა, დაგეგმილი იყო კულტურული ღონისძიებებიც, კერძოდ დაგვათვალიერებინეს ქალაქის და რეგიონის მთავარი ღირსშესანიშნაობები.

ვიზიტის ფარგლებში შევიძინეთ ახალი ნაცნობები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან, რადგან პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი მიზნად ისახავდა ურთიერთთანამშრომლობის და გამოცდილების გაზიარებას. საბოლოო ჯამში ვიზიტი პროდუქტიული და საინტერესო გამოვიდა.